ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1779601

ნომერი: AR1290783

თარიღი : 03.03.2015

გაცემის თარიღი : 12.03.2015

გაცნობის თარიღი : 16.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , N 5 , (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N67) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბეგიაშვილი პ/ნ 01024023623
- თბილისი, სერგი დანელიას 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა–შეღებვისა და კარის ღიობის მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. #5, (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი #67)–ში, შპს "პმკ 2013"–ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა–შეღებვისა და კარის ღიობის მოწყობის) განხორციელებას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.05.036.003.01.519; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. #5, (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი #67)–ში, შპს "პმკ 2013"–ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა–შეღებვისა და კარის ღიობის მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge